## ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 47

ქ.ახმეტა 1 ივნისი 2012 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი: ერთის მხრივ, ახმეტის ,,სოციალური სახლის" დირექტორის სახით, შემდგომში ,,შემსყიდველი გიორგი ხითარიშვილი ----------- მეორეს მხრივ შ.პ.ს. ,,ბუნებრივი აირი"შემდგომში ,,გამყიდველი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1.ხელშეკრულების საგანი -კოდი-91

1.1 ხელშეკრულება იდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გამარტივებული მეთოდის გზით და მისი საგანია:

დაწნეხილი ბუნებრივი აირი ავტომანქანის-ტალონური სისტემით

---

### 2.ხელშეკრულების ობიექტი

მომწოდებელი ვალდებულია გადასცეს ,,შემსყიდველს" 370 მ³ დაწნეხილი ბუნებრივი აირი ავტომანქანის-ტალონური სისტემით

---

### 3.შესასყიდი საქონლის მოწოდების ვადები და ადგილი

2.1 ,,გამყიდველი" ვალდებულებას კისრულობს ,,შემსყიდველის" წერილობითი და/ან ზეპირი მოთხოვნის შესაბამისად, ,,შემსყიდველს" მოაწოდოს შესასყიდი საქონელი იმავე დღეს (არსებული მარაგებიდან გამომდინარე) ან მოთხოვნიდან არაუგიანეს ხუთ სამუშაო დღეში

2.1 საქონლის მიწოდების თარიღად ითვლება მოსი ფაქტიური გადაცემა.
2.2 საქონლის მიწოდების ადგილია --- ქ.ახმეტა რუსთაველის ქ.N 58

### 4. შესასყიდი საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის საერთო ღირებულება ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო სასაქონლო ზედდებულის ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შესაბამლობის შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტით) გამოწერის შემდეგ.

### 5.ხელშეკრულების მოცულობა და საერთო ღირებულება.

5.1 მიწოდებული (გადაცემული) საქონლის ფაქტიური (ფიზიკური) რაოდენობა და ღირებულება შეადგენს:
407 (ოთხას შვიდი )ლარი.

### 6. ანგარიშწორების პირობები

6.1 ანგარიშსწორების ფორმად მხარეები ირჩევენ: უნაღდო ანგარიშსწორებას
6.2 ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულების 4.1 პუნქტების შესაბამისად.
6.3 ანგარიშწორების მოთხონის საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების 3.1 პუნქტის პირობის შესრულება.

7.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების,საქონლის მიწოდების ვადები ,, გამყიდველის" მიზეზით დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის ,,გამყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო წარდგენილი ინვოისის ღირებულება 2 % -ის ოდენობით.

8.2 იგივე პასუხისმგებლობა იკისრება ,,შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ,,გამყიდველისათვის" დაგვიანების შემთხვევაში.

8.ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიაანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე,თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიცაა წყალდიდობა,მიწისძვრა და სხვა მოვლენები,აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები.

9.4 მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება,ალდებულია დაუყონებლი აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ,,შემსყიდველის" მხრიდან ახორციელებს ,,შემსყიდველის" მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი----------- გიორგი ხითარიშვილი

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 მხარეთა შორის წამოდგენილი ყველა დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.ასეთის მიუღწევლობის შემთხევაში სასამართლოს გზით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორივე მხარის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2012 წლის 1 ივლისამდე.

12.2 ხელშეკრულების ვადის გასვლა არ ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში წარმოშობილი ურთიერთ ვალდებულებებისაგან.

12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ,რაც იგი გაფორმდება წერილობითი და ხელმოწერილი იქნება მხარეთა მიერ.

13. მხარეთა იურიდიული მისამართი

| | |
|---|---|
| 13.1 ,,შემსყიდველი"- ახმეტის ,,სოციალური სახლი" ქ.ახმეტა რუსთაველის .N 58 ს/კ 224631414 ა/ა GE 85LB0115119367286000 | 14. ,,გამყიდველი „შ.პ.ს. ,,ბუნებრივი აირი" თელავი თბილისის გზატკეცილი ა/ა GE10TB0999236020100001 ს/კ 231251007 |
| ,,შემსყიდველი" | ,,გამყიდველი" |